პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№89 (6154)

7 მაისი, კვირა. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩამდენიმე დღის წინათ გორის სპორტული სკოლის დარბაზში დამთავრდა საქართველოს 1978 წლის პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობა მიმდინარეობდა დედაქალაქის სპორტსმენთა სრული უპირატესობით.

სურათზე: გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის I ნაკრები. მარცხნიდან — მ. მორბედაძე, მ. ხალილოვა, ი. გაბაშვილი, ბ. სისაური, ლ. დოლიძე (უფროსი), ნ. ფოცხიშვილი.

ჯ. კასრაძის ფოტო.

შეჯიბრების ანგარიში იხილეთ მე-2 გვერდზე.



# ლ. ი. ბრეჟნევი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ბონი, (საკდესი). 4 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ესტუმრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰ. შმიდტს. საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი.

იმავე დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. შეელმა სადილი გაუმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

5 მაისს გიმნიხის რეზიდენციაში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰელმუტ შმიდტის საუბარი.

გაიმართა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე, უწინარეს ყოვლისა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სრულიად ევროპის უშიშროება და განიარაღება, დაძაბულობის შენელება ევროპაში.

6 მაისს ბონში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას.

# აიგება გმირთა მოედანზე

## საძირკველი ჩაეყარა მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმს

მახარაძე, 5 მაისი (საქინფორმი). ქალაქის, ახლომდებარე რაიონების საზოგადოებრიობის ასობით წარმომადგენელი დაესწრო მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმის საძირკვლის ჩაყრას, რომელიც ქალაქ მახარაძის გმირთა მოედანზე აიგება.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მე-18 არმიის ვეტერანებმა, მცირე მიწის დაცვის მონაწილეებმა თეთრი საფუძველი ჩამოხსნეს დაფას, რომელზეც წარწერილია: „აქ აიგება მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმი".

ამ მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

მიტინგს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

# ჯილდოები ღირსეულთ

## საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოს პროფსაბჭოს სამდივნომ შეაჯამა ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებსა და პროფკავშირთა დარგობრივ კომიტეტებს შორის 1977 წელს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და აღნიშნა, რომ სპორტსაზოგადოებების საბჭოებმა გასულ წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებაში. საზოგადოებების წევრთა რიცხვმა 822 ათასს საგრძნობლად გადააჭარბა. გეგმით გათვალისწინებული 8 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მაგიერ მომზადდა 11, 140 სპორტის ოსტატის ნაცვლად — 178, ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა 746 კაცმა (გეგმა 491). ასევე დიდი გადამეტებით შესრულდა პირველთანრიგოსნების (გეგმა 2662, შესრულება 3333), მასობრივი თანრიგოსნების, მშლ ნიშნოსნების მომზადების გეგმა-ვალდებულებანი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სპორტსაზოგადოებებს შორის I ადგილი მიეკუთვნა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა „განთიადის" ცენტრალური საბჭო. II და III ადგილებზე გავიდნენ „ბურევესტნიკის" და „ვოდნიკის" საბჭოები. ისინი მიიღებენ საპატიო სიგელებს.

პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების შეჯიბრებაში გაიმარჯვა **საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტმა.** ამ ორგანიზაციას მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი. II ადგილზეა **საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.** იგი დაჯილდოვდა პროფსაბჭოს საპატიო სიგელით. მესამე ადგილზე გასულ **ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის** რესპუბლიკურ კომიტეტს გადაეცა საპატიო სიგელი.

მასობრივ-ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის უნარიანი ხელმძღვანელობისთვის საქართველოს პროფსაბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ: „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ა. გიორგობიანი**, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ასათიანი** და „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. იორაიშვილი**, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ლაკია**, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **გ. უმანკოშვილი** და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ბაკურაძე.**

## ჭიდაობა

**სოფია.** აქ, „ფესტივალის" სარბიელზე 5 მაისს დაიწყო ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში 17 ქვეყნის 108 სპორტსმენი მონაწილეობს.

პირველი შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს საბჭოთა ათლეტებმა. ათიდან ცხრა სპორტსმენმა ხალიჩა გამარჯვებულმა დატოვა. აქედან ხუთმა ორთაბრძოლა ვადამდე დაასრულა: იბრაგიმოვმა (57 კგ-მდე) დაამარცხა უნგრელი სალონტაია, ზანგიევმა — ჩეხოსლოვაკიელი საბო (82 კგ-მდე), თედიაშვილმა — დასავლეთგერმანელი შრაცი (100 კგ-მდე); მძიმე წონოსანმა ბიგაევმა — ბერძენი სპირიდოპულოსი. აბსაიდოვს (62 კგ-მდე) და მარტს (74 კგ-მდე) გამარჯვება მიეკუთვნათ მეტოქეთა — იუგოსლაველი ათლეტების ბაირამისა და რისტოვის პასიურობისთვის დისკვალიფიკაციის გამო. კაზაკბიევმა (48 კგ-მდე) და გაიდარბეკოვმა (68 კგ-მდე) ქულებით მოუგეს ბულგარელ სტოიანოვს და პრობსტს (გდრ) შესაბამისად. მხოლოდ ფაშაევი დამარცხდა ბულგარელ სელიმოვთან (52 კგ-მდე) ორთაბრძოლაში.

ჩემპიონატის მასპინძლებმა — ბულგარელმა სპორტსმენებმაც წარმატებით აიღეს სტარტი. მათ მხოლოდ ორი დამარცხება განიცადეს.

## თანამედროვე ხუთჭიდი

**ბონი.** ცნობილმა უნგრელმა ხუთჭიდელმა, მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს ჯილდოს მფლობელი გუნდის წევრმა ტ. მარაჩკომ გაიმარჯვა ვარენდორფის (გფრ) ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. საერთო ჯამში მან 5531 ქულა მოაგროვა.

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლვოველი პ. ლედნიოვი 5370 ქულით V ადგილზე გავიდა.

პირად შეჯიბრებაში II ადგილი ერგო მეორე უნგრელ ათლეტს — ტ. სამბატელის, რომელიც გამარჯვებულს მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩა. საუკეთესოთა ხუთეულში უნგრეთის კიდევ ერთი წარმომადგენელია — ს. შამიჩი (5452 ქულა). ამის მიუხედავად უნგრეთის ნაკრები III ადგილზე გავიდა: ამ შეჯიბრებაში გუნდურ ჩათვლაში შედიოდა არა სამის, არამედ ოთხი მონაწილის პირადი შედეგი. მეოთხე უნგრელი სპორტსმენი კი ინდივიდუალურ დავაში ძალიან ჩამორჩა. უნგრეთის გუნდმა 20710 ქულა მოაგროვა. I ადგილი გფრ-ის ხუთჭიდელებმა მოიპოვეს (21002), II ადგილი სსრ კავშირის სპორტსმენებს ხვდათ (20801).

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ლედნიოვის გარდა გამოდიოდნენ ა. ტარევი (ფრუნზე), მოსკოველი ვ. ნეფედოვი და კიეველი ი. მიშნევი.

ტურნირში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, აშშ-ის, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, ფინეთის, საფრანგეთისა და ლიხტენშტეინის ნაკრები გუნდები (საკდესი).

## ფარიკაობა

**ბონი.** აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში 15 ქვეყნის რაპირისტებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს ასპარეზობა ჰამბურგის მსოფლიო ჩემპიონატის (13-22 ივლისი) წინ ძალების კიდევ ერთხელ მოსინჯვა იყო.

ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში გამარჯვებას პირველად მიაღწია პოლონელმა სპორტსმენმა, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა ლ. კოზეევსკიმ, რომელმაც ფინალში ყველა მეტოქე დაამარცხა. II და III ადგილებზე გავიდნენ დასავლეთგერმანელი სპორტსმენები ჰ. ჰაინი და მ. ბერი. ტაშკენტელი ს. რუზიევი ფინალში მეხუთე იყო. შეჯიბრების გადამწყვეტ სტადიაში ვერ გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონი, მინსკელი ა. რომანკოვი და იტალიელი კ. მონტანო (საკდესი).

# „ორლიონოკი" სამტრედიაში

სამტრედიის კომკავშირის რაიკომის, სპორტკომიტეტის, დოსააფის რაიონული კომიტეტისა და განათლების განყოფილების ინიციატივით მოეწყო საკავშირო კომკავშირის სამხედრო-სპორტული თამაშის — „ორლიონოკის" პროგრამით გამართული რაიონული ტურნირი, რომელშიც 20 საშუალო სკოლის, აგრეთვე, სამტრედიის № 28 პროფტექსასწავლებლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ყველას აჯობა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ღანირისა და ქალაქის მე-3 სკოლის კოლექტივები.

ი. ნიკოლეიშვილი.

## ჭადრაკი

### თასისთვის 8 გუნდი იბრძვის

**ორჯონიკიძეში** უმაღლესი ლიგის მოჭადრაკეთა სსრ კავშირის თასის გათამაშების გუნდურ შეჯიბრებაში საასპარეზოდ ჩამოვიდნენ „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „დინამოს", „ავანგარდის", „ზენიტის", „ტრუდის", ცსკა-სა და სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები.

ამ გუნდებში მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მოჭადრაკეები. ასე მაგალითად, ქვეყნის თასის მფლობელის — „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში თამაშობს დიდოსტატი ნანა ალექსანდრია. სოფლის სპორტსმენთა ნაკრებ გუნდში გამოდის დიდოსტატი ბ. გურგენიძე, არმიელთა კოლექტივის სახელს იცავენ დიდოსტატი ე. გუფელდი და ახალგაზრდა მოჭადრაკე ნინო გურიელი. „დინამოს" გუნდში გამოდიან ოსტატები ე. უბილავა, ქეთევან მელაშვილი და ოსტატობის კანდიდატი ზ. აზმაიფარაშვილი.

პარალელურად მოგილიოვში ტარდება ტურნირი პირველი ლიგის გუნდებს შორის, რომლებიც უმაღლესი ლიგის ერთადერთ საგზურს გაითამაშებენ. აქ გამოდის „განთიადის" კოლექტივიც, რომლის შემადგენლობაში არიან ოსტატები ზ. სტურუა, ი. ჩიქოვანი, ციური კობაიძე, ევროპის თასის მფლობელი გოგონათა შორის ნანა იოსელიანი და სხვ.

# ყველაზე კაშკაშა



ერთ წელზე მეტია გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს შორის გაცხოველებული დავაა იმაზე, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ლიდერად, რომელი ვარსკვლავია უფრო კაშკაშა ჩვენი ტანვარჯიშის თანავარსკვლავედში. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ვერა და ვერ მოხერხდა მათი ერთ რომელიმე შეჯიბრებაში თავმოყრა. ამიტომ იყო, რომ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები და სპეციალისტები დიდი ინტერესით მოელოდნენ საქართველოს მორიგ ჩემპიონატს.

და აი, დადგა ეს დროც. ჩემპიონატს სტუმართმოყვრულად გაუღო კარი გორის სპორტული სკოლის ახალმა, თანამედროვე სტილით ნაგებმა შენობამ, რომლის დარბაზშიც შესაშური პირობებია სპორტსმენისათვის მთელი შესაძლებლობის გამოსავლენად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გორის სპორტის მესვეურებმა თავი არ დაზოგეს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

ფავორიტებიდან სარბიელზე გამოვიდნენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ლალი დოლიძე (უფროსი), შარშანდელი ჩემპიონი მარინე მორბედაძე, თბილისის ჩემპიონი მარინე ხალილოვა, თასის მფლობელი ირინე გაბაშვილი, საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი ირინა ჟემჩუჟინამ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო... როგორც შეჯიბრების მდივანმა. საქმე იმაშია, რომ ამ ნიჭიერმა გოგონამ მენისკის ოპერაციის გამო ამჯერადაც ვერ შეძლო სარბიელზე გამოსვლა.

ასპარეზობაში ჩაება აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის და თბილისის 2 გუნდის 39 სპორტსმენი — 31 სპორტის ოსტატი, 3 ოსტატობის კანდიდატი, 5 პირველთანრიგოსანი.

პირველ დღეს შესანიშნავად გამოვიდა საქართველოს ჩემპიონი მარინე მორბედაძე. მან ბურთით და გურზებით ვარჯიში მაღალოსტატურად შეასრულა და პირველი ადგილები მოიპოვა. სამაგიეროდ, უსაგნოდ ვარჯიშის დროს იგი შეცდა და მეოთხე ადგილს დასჯერდა. (ამ სახეობაში პირველი ადგილი მოიპოვა ლალი დოლიძემ (უფროსმა). მიუხედავად ამისა, პირველი დღის შედეგებით ლიდერობა ხელთ იგდო მარინე მორბედაძემ. მას კვალში ჩაუდგა ლალი დოლიძე. ჩემპიონობის ერთ-ერთმა მაძიებელმა ირინე გაბაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო კიდევ ერთ ოქროს მაძიებელს — მარინე ხალილოვას „თავის" სახეობაში, ბურთით ვარჯიშში ხელი მოეცარა, მეექვსე ადგილზე გავიდა და საგრძნობლად გაიუარესა მდგომარეობა.

განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა შეჯიბრების მეორე დღეს. სპორტსმენთა ფიზიკური, ტაქტიკური და ტექნიკური მომზადების გვერდით მკვეთრად აიწია ნერვების სიმტკიცის, მობილიზების უნარის ფასმა. აქ ყველაზე მეტად დაზარალდა ლიდერი — მარინე მორბედაძე. მან სახტუნაოთი ვარჯიში ხარვეზებით დაასრულა და მეოთხე ადგილს დასჯერდა. ამ სახეობაში გამარჯვებულ ირინე გაბაშვილს კი ყველა მსაჯმა ერთსულოვნად მაღალი შეფასება — 9,7 ქულა მისცა (მეორე ადგილი ლ. დოლიძე-უფროსს ხვდა წილად, მესამე — მ. ხალილოვას).

კვლავ ლაღად, შემართებით, გრაციოზულად ასპარეზობს ირინე ლენტით და ამჯერად პირველ ადგილთან ერთად რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს ეუფლება (47,4 ქულა). II ადგილი მრავალჭიდში წილად ხვდა ლ. დოლიძეს (47,15 ქულა), ხოლო III ადგილზე მარინე მორბედაძე გავიდა (47,0 ქულა). IV-V ადგილები შესაბამისად დაიკავეს მარინე ხალილოვამ და ბელა სისაურმა (46,55 და 45,95 ქულა).

რა შეიძლება ითქვას საქართველოს ახალ ჩემპიონზე? უპირველეს ყოვლისა ის, რომ მისი წარმატება არავის გაკვირვებია. ირინე გაბაშვილი — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი — მრავალი საერთაშორისო ასპარეზობის მონაწილეა. საკმარისია ითქვას, რომ ირინე გასულ წელს საბჭოთა მხატვრული ტანვარჯიშის დემონსტრირებისთვის გაგზავნეს შვეციაში, შემდეგ შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ნომრად წაიყვანეს, ხოლო ამ დღეებში კი ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობს.

ირინე გაბაშვილმა ტანვარჯიშისათვის ოდნავ გვიან — 11 წლისამ დაიწყო მეცადინეობა (ჩვეულებრივ 7-8 წლიდან იწყებენ) სპორტის საპატიო ოსტატ ნელი სალაძესთან. მწვრთნელის თვალმა კარგად შენიშნა მხატვრული ტანვარჯიშისთვის საჭირო ის მონაცემები, რაც გოგონას უხვად გააჩნდა. შრომისმოყვარე, თავმდაბალი, უაღრესად მუსიკალური მოწაფე უსიტყვოდ ასრულებდა აღმზრდელის ყველა რჩევა-დარიგებას. წარმატებებმაც არ დაიგვიანა.

ირინეს ყველა მოძრაობა დახვეწილი, მთლიანი, პოეტურია. ეს, ერთი შეხედვით, წყნარი გოგონა ვარჯიშის დროს სრულ მეტამორფოზას განიცდის. მისი დამუხტული სხეული ცოტაც და თითქოს სივრცეს შეერევაო...

ახლა კი კვლავ ასპარეზობის დღიურს დავუბრუნდეთ.

სპორტის ოსტატობის კანდიდატობის პროგრამით I ადგილი დაიკავა ბათუმელმა ნ. დიასამიძემ (41,05 ქულა), II — სოხუმელმა მ. თამლიანმა (37,4 ქულა), ხოლო III — ქუთაისელმა ლ. ჯანჯულაშვილმა (36,55 ქულა).

გუნდური I ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიკავა თბილისის პირველმა გუნდმა (310,335 ქულა), II — თბილისის მეორე გუნდმა (281,34 ქულა), III ადგილზე აჭარის წარმომადგენლები გავიდნენ (265,39 ქულა), IV — აფხაზეთის კოლექტივი (259,135 ქულა), ხოლო [illegible] როგორც გასული წლის ჩემპიონატში, კვლავ ქუთაისელი სპორტსმენები ვიხილეთ.

შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა ფინალური ასპარეზობა ცალკეულ სახეობებში.

ჩემპიონის რანგის შესაფერისად გამოვიდა ი. გაბაშვილი. მან კვლავ მოხიბლა გორელი მაყურებელი უზადო, აღმაფრენით შესრულებული ვარჯიშებით. ირინემ სახტუნაოთი და ლენტით ვარჯიშში პირველი ადგილები მოიპოვა, ხოლო გურზებით ასპარეზობაში პირველ-მეორე ადგილები გაიყო მარინე ხალილოვასთან. უსაგნოდ ვარჯიშში პირველი ადგილი კვლავ ლალი დოლიძემ დაიკავა, ხოლო ბურთით ვარჯიშში — მარინე მორბედაძემ.

ჩვენ ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ და საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონატმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თბილისის განათლების განყოფილების აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებულ სკოლაში ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს. სწორედ ეს განაპირობებს მხატვრული ტანვარჯიშის აღმავლობას. დღეს ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენების გვერდით კიდევ ბევრი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე იზრდება.

უახლოეს ხანში ჩვენს გოგონებს საკავშირო ჩემპიონატში მოუწევთ გამოსვლა.

შემოდგომაზე კი ისინი ტაშკენტში გამოვლენ სპორტული წლის ყველაზე საპასუხისმგებლო ასპარეზობაში — მოსწავლეთა სპარტაკიადაში. იმედი გვაქვს, ჩვენი გოგონების „თანავარსკვლავედი" ღირსეულად წარმოაჩენს რესპუბლიკის მხატვრულ სატანვარჯიშო სკოლას.

ჯ. კასრაძე.

* * *

სურათზე: თავისუფალ ვარჯიშს ასრულებს ი. გაბაშვილი.

ავტორის ფოტო.

# ჟურნალისტთა კონკურსი

**სსრ კავშირის** მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა საკავშირო კონკურსის დებულება სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში საუკეთესო გაშუქებისთვის.

სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა განსაკუთრებულია. იგი XXII ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე ტარდება. სასპარტაკიადო ფინალურ სტარტებში საბჭოთა სპორტსმენთა გარდა მონაწილეობას მიიღებს 100 ქვეყნის 2000 ათლეტი. ნავარაუდევია, რომ შეჯიბრებებს გააშუქებს 500 უცხოელი კორესპონდენტი და 1500-მდე საბჭოთა სპეციალისტი. ტელევიზიის საშუალებით სპარტაკიადას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ნახავენ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საინფორმაციო სააგენტოებს, პარტიულ, ახალგაზრდულ და საუწყებო ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, სპორტული გამოცემების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, აგრეთვე, ცალკეულ ჟურნალისტებს.

კონკურსის თემა მრავალფეროვანია:

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა ძალის, სილამაზის, ახალგაზრდობის საერთო-სახალხო დღესასწაულია; საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის ნათელი დადასტურება; „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსი მოქმედებაში; სპარტაკიადის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენთა მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებები; სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადიდან ოლიმპიადა-80-ისკენ; X ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის ბრძოლაში შრომითი აქტივობის ამაღლებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის როლი; ოლიმპიელები ჩვენს შორის.

1979 წლის ოქტომბერში, ორ ტურად ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება გამოქვეყნებული მასალების, ილუსტრაციების, ტელე- და რადიოგადაცემების ხარისხი და შინაარსი, ჟანრების მრავალფეროვნება, შემოქმედებითი ძიების სიღრმე და მასალების მიწოდების პროფესიული ოსტატობა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რედაქციის ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და ოლიმპიადა-80-ის პროპაგანდის საქმეში.

მასალები უნდა გაიგზავნოს მისამართით: Москва, 121069, Скатертный пер. 5, არა უგვიანეს 1979 წლის 15 სექტემბრისა. კონვერტზე უნდა აღინიშნოს „კონკურსი — სპარტაკიადა".

უნდა გაკეთდეს გაზეთების, ჟურნალების ან ამონაჭრების ალბომი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტებისა და სპორტული ჟურნალისტების ფედერაციების წარდგინებით. გაზეთებს ან ჟურნალებს, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გამოდის, უნდა ახლდეს ძირითადი მასალების ანოტაციები და ნარკვევებისა და მასალების თარგმანები.

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტები წარადგენენ საუკეთესო გადაცემებს და შერჩეულ სიუჟეტებს შესაბამის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციების დასკვნებთან ერთად. კონკურსის ჟიურიში მასალები იგზავნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქციის გადაწყვეტილებით.

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო სპორტკომიტეტის, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სპორტკომიტეტის, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის, გაზეთების „სოვეტსკი სპორტის", „კრასნაია ზვეზდას", „ტრუდის", ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის" პრიზებით.

ჟურნალისტიკის ცალკეულ ჟანრებში დაწესებულია პირადი პრიზები.

# სპორტული ოჯახი

## ერთი ათეული წლის გადასახედიდან

„რკინიგზის მე-5 საშუალო სკოლას, სადაც ვსწავლობდი, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა დედაქალაქის სპორტულ ცხოვრებაში. ერთ დღეს (მაშინ VII კლასის მოსწავლე ვიყავი) სკოლაში მოვიდა მწვრთნელი — შალვა ლუხუტაშვილი, შეგვარჩია ხუთიექვსი ბავშვი და წაგვიყვანა კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის საცურაო აუზში. დაგვაწყებინა ვარჯიში, გაგვიღვივა ინტერესი წყალში ხტომისადმი. აი, ასე დაიწყო ჩემი სპორტული ცხოვრება"...

**სპორტის** ყველა სახეობას გამორჩეული, თავისთავადი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხიბლი და სილამაზე ახლავს. სკოლის წლებიდან შეყვარებული და გათავისებული საქმის ერთგულება სპორტსმენთა უმეტესობას ცხოვრების ბოლომდე კეთილ მეგზურად მიჰყვება.

ბედნიერ კაცად შეიძლება იგულოს თავი საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა იური გუტიაკულოვმა, რომელიც უკვე მეთერთმეტე წელია ავარჯიშებს ნორჩ სპორტსმენებს, პერსპექტიულ ახალგაზრდებს. ეს არცთუ მცირე პერიოდი ბევრ საამო მოგონებასთანაა დაკავშირებული... ერთი ათეული წლის გადასახედიდან მკაფიოდ მოჩანს, როგორც მოწადინებული შრომის სასურველი შედეგები, ისე ხელშემშლელი ობიექტური მიზეზებით განპირობებული მცირეოდენი შეფერხება, გამოუყენებელი შესაძლებლობები. საბოლოო ჯამში კი ფაქტობრივი მონაცემები გუტიაკულოვის თავდადებული და მუყაითი მუშაობის მაღალ დონეზე მეტყველებენ.

იმ აღმზრდელ-მასწავლებელთა და მწვრთნელთა შორის, რომელთა ნაწილობრივი წყალობითა და მეოხებით ქართული სპორტის სახელი ეროვნულობის ვიწრო სამანებს სცილდება, იური გუტიაკულოვიც უნდა მოვიხსენიოთ. იგი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია.

შარშან რესპუბლიკის ათ საუკეთესო მწვრთნელთა რიცხვში იყო... სულ ახლახან, პენზაში ჩატარებულ სსრ კავშირისა და გდრ-ის ნორჩ წყალში მხტომელთა შეჯიბრებაზე იური გუტიაკულოვის აღსაზრდელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა სერგო შალიბაშვილმა ორი გამარჯვება მოიპოვა. ამ წარმატებით შალიბაშვილმა იტალიის ქალაქ ფლორენციაში ევროპის ჩემპიონატში, რომელიც წლეულს, ივლისში გაიმართება, მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ევროპის უძლიერეს სპორტსმენებთან მოუწევს შეტოქება საქართველოს წარმომადგენელს...

ჩვენთან თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ოჯახები (და ალბათ არა მხოლოდ ჩვენთან), რომელთა ყოველი წევრი სისხლხორცეულად იყოს სპორტთან დაკავშირებული.

ასეთ რიცხვმცირე ოჯახთაგან გუტიაკულოვებს უცილობლად ერთ-ერთი საჩინო ადგილი უკავიათ სპორტის დიდ სარბიელზე. იურის მეუღლე — ლიუდმილა გუტიაკულოვა წყალში მხტომელი გოგონების მწვრთნელია, ხოლო მათი მეშვიდეკლასელი, 13 წლის გოგონა ინგა უკვე სპორტის ოსტატია ამავე სახეობაში.

იანვარში, კუიბიშევში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე ჩატარებულ საკავშირო შეჯიბრებაზე ინგამ ყველას აჯობა. ამ გამარჯვებას ეძღვნება წერილი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" 13 იანვრის ნომერში.

— პატარა ინგა მე და ჩემ მეუღლეს თან დაგვყავდა სალამოობით ვაკის საცურაო აუზში, — გვეუბნება იური. — იგი იმთავითვე შეეჩვია წყალში ხტუნაობას, ჭყუმპალაობას. ისწავლა ცურვა, წამოიზარდა, გამუდმებულ ვარჯიშს მიჰყო ხელი და ამჟამად სპორტის ოსტატია...

ინგას სახით იური და ლიუდმილა გუტიაკულოვების საქმეს ღირსეული დამფასებელი და სამაგალითო გამგრძელებელი ჰყავს. წინ უსაზღვროდ ვრცელი და შრომატევადი ასპარეზი აქვს ინგა გუტიაკულოვას...

სპორტულ დარბაზში ერთსაათიანი ვარჯიშის მერე წვრთნა აუზში გრძელდება. ნორმალური მეცადინეობისთვის ვაკის საცურაო აუზში პირობები ხელსაყრელია, ოღონდ... სჯობია თვითონ იური გუტიაკულოვს მოვუსმინოთ:

— ვარჯიში გვიან, 18 საათზე იწყება და 22 საათამდე მიმდინარეობს. მოცურავეები, წყალბურთელები, ხუთჭიდელები თუ სხვები აქ მოდიან სავარჯიშოდ. არადა, ერთი აუზი ერთდროულად ყველას მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს. მტკვრის სანაპიროზე შენდება ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო ღია საცურაო აუზი, რომლის მწყობრში ჩადგომა დიდად შეგვეწყობა შეჯიბრებისათვის ორგანიზებულ მზადებაში და გამარჯვებისთვის ბრძოლაში...

...ფიზიკური წრთობის, სრულყოფისა და სიძლიერის ერთ-ერთი უებარი წყარო რომ სწორედ წყალია, ეს ძველისძველი ჭეშმარიტებაა. სხეულის ჰარმონიულ განვითარებას, გრაციოზულობასა და მოქნილობას დიდად უწყობს ხელს სპორტის ის სახეობა, რომელსაც ერთგულად ემსახურება იური გუტიაკულოვი.

ადგაფუნებულ წყალში გვიანობამდე მიმდინარეობს წყალში მხტომელთა წვრთნა. მარმარილოთი და კაფელით მოპირკეთებული აუზის ნაპირებს ეშხეფება კამკამა წვეთები... ვაკის საცურაო აუზიდან გამოსულს სიხალისე მოყვება და კიდევ—იური გუტიაკულოვისნაირ მწვრთნელებზე დამყარებული დიდი იმედი ხვალინდელი მიღწევებისა.

ა. არაბული.

# „სითბოს მოკლებული ზრენვა"

ამ სათაურით „ლელოს" 5 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ქუთაისის მძლეოსნური მანეჟის სატკივარზე.

როგორც სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. გოგუაძე** გვატყობინებს, საქალაქო საბჭოს აღმასკომი უსასყიდლოდ აკეთებს მანეჟის გათბობის გაყვანილობის ტექნიკურ დოკუმენტაციას. ამიერკავკასიის

## წერილის კვალდაკვალ

რკინიგზის სამტრედიის განყოფილება, რომელსაც ეს ბაზა ეკუთვნის, შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარება საჭირო რაოდენობის მასალებით. მანეჟის გათბობა მომავალ ზამთრამდე მოგვარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 მაისი რადიოს დღეა

# თქვენთან ერთად, ძვირფასო რადიომსმენელებო!

10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს რადიომაუწყებლობის ახალგაზრდულ რედაქციას ცალკე გამოეყო სპორტული პროგრამების რედაქცია.

ამ ხნის მანძილზე რედაქციის შემოქმედებითმა კოლექტივმა [...]გვარი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, როგორც მშრომელთა ფიზიკური წრთობის, დასვენების საუკეთესო საშუალებების პროპაგანდაში და მისი სრულყოფისთვის საჭირო პირობების შექმნაში.

ამ ხნის მანძილზე, რაც მთავარია, მტკიცდებოდა კონტაქტი სპორტის მოყვარულ რადიომსმენელებთან. ხშირი იყო მათი სურვილებით, წინადადებებით დაგეგმილი სპორტული გადაცემები, მათივე მონაწილეობით იმართებოდა კონკურსები, ვიქტორინები, მათივე თხოვნით — შეხვედრები გამარჯვებულებთან, ვეტერან-სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, სპორტის სპეციალისტებთან.

[...]ივსებოდა რედაქციის „ოქროს ფონდი“, რომელსაც დღეს თამამად შეიძლება ვუწოდოთ სპორტის ჭეშმარიტი მატიანე.

რედაქციას შემუშავებული აქვს გეგმა, რომ რადიოჟურნალ „ფიზკულტურა და სპორტის“ ერთ-ერთი გამოშვება საიუბილეო თარიღს — რედაქციის 10 წლისთავს მიუძღვნას და სპორტის მოყვარულთა სურვილების, წინადადებების მიხედვით გადაცემაში გამოიყენოს რედაქციის საფონდო ჩანაწერები.

ასე რომ, რედაქცია ელის გამოხმაურებას იმათგან, ვისაც აღაფრთოვანებს ქართული სპორტის ტრადიციები, გუშინდელი გამარჯვებები, ზრუნავს, ფიქრობს დღევანდელ და მომავალ წარმატებებზე...

ვსარგებლობ შემთხვევით და უკვე ათი წლის სტაჟიანი სპორტული ჟურნალისტი ქალის საქმიანობიდან რამდენიმე საინტერესო მომენტი მინდა გავიხსენო.

ის, რომ სპორტის ყველა სახეობაში უნდა გავრკვეულიყავი, ამაში არაფერია გასაკვირი; ვფიქრობ, არც არავის უკვირდა ჩემი გამოჩენა ფეხბურთის მატჩზე თუ ძალოსანთა ვარჯიშზე, რინგთან თუ იპოდრომზე, მით უმეტეს ჩვენს სასიქადულო ფალავნებთან ან საჭიდაო ხალიჩის წრესთან...

ჩემს კოლეგებს და, ვფიქრობ, რადიომსმენელებსაც არასოდეს გაჰკვირვებიათ, როცა ისმენდნენ ჩემს რადიორეპორტაჟებს მოჭიდავეთა სასპარტაკიადო ან სხვა საკავშირო ტურნირებიდან.

ახლა კი უნდა ვაღიარო, რომ რინგის ოსტატთა პაექრობას სულ პირველად 1973 წელს დავესწარი თავიდან ბოლომდე. კარგად მახსოვს მინსკში გაკეთებული ჩემი პირველი ინტერვიუ, მაშინ ჯერ კიდევ ბევრისათვის უცნობ მოკრივე დათო კვაჭაძესთან. როგორც გამოირკვა, ეს მისთვისაც პირველი ინტერვიუ ყოფილა.

1976 წელს კონტინენტის უძლიერეს ძიუდოისტთა კიევში გამართულ ევროპულ პირველობაზე მიმავლინეს.

ასპარეზობის პრეს-ცენტრში გამოვცხადდი და ყველას სიცილი აუტყდა... ცოტაც რომ დამეგვიანა, არ ვიცი სად მომიწევდა ღამის გათევა, რადგან აკრედიტაციის მიხედვით მე, თ. რ. კახიძეს, პრეს-ცენტრმა სასტუმრო „კიევში“ მიმიჩინა ბინა კიშინიოვიდან ჩემპიონატზე მივლინებულ სპორტულ ჟურნალისტ ვლადიმერ კაშუკთან ერთად...

სხვათა შორის, კიევის სპორტის სასახლეშიც და სასტუმროშიც ორ დღეში შეეჩვივნენ ჩვენს გამოჩენას მკერდზე ყვითელი ემბლემით — „ძიუდო-პრესა“.

მაგრამ აქ, ჩვენთან, კერძოდ თბილისის სპორტის სასახლეში ვერ იქნა და ვერ მოვიპოვე ავტორიტეტი. არა, მოასპარეზეთა და ჟურნალისტთა შორის კი არა, სასახლის მომსახურე პერსონალს შორის. ერთხელ სპორტის სასახლეში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა თავისუფალ ჭიდაობაში.

წამოვიკიდე ჩამწერი აპარატი და სამომსახურო შესასვლელიდან პირდაპირ შეჯიბრების მონაწილეებთან, სპეციალისტებთან ვაპირებ ჩასვლას. გზა გადამიღობეს, როგორც რადიოჟურნალისტებს გვჩვევია, ჯერ რეპორტიორზე მივანიშნე — რადიოსპორტი-მეთქი; ვინ გამიგო; მერე პირადობის მოწმობაც გადავშალე. ვხედავ, არაფერი არ გადის სასახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. მე კი მეჩქარება, რეპორტაჟი მაქვს მოსამზადებელი რადიოს უკანასკნელი ცნობების გამოშვებისათვის.

ტურნირის მონაწილე ჩვენს ბიჭებს თუ გამვლელ-გამომვლელს, ყველას უკვირს, რომ გაშვება-არგაშვებაზე ვდაობ.

მაშინ გიორგი ეგნატაშვილი იყო სასახლის დირექტორი, მისი იმედი-ღა მქონდა და იმანაც...

— არ იცით, რომ მონაწილის ბილეთის გარეშე ქვემოთ არავის ვუშვებთ?

ბრაზნარევი სიცილით განვუმარტე: მე, ქალს, ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირზე მონაწილის ბილეთი საიდან მექნება ან რატომ მთხოვთ-მეთქი?

— არ ვიცი, ბატონო, მონაწილის ბილეთი მიჩვენეთ, ისე ვერ ჩაგიშვებთო, — ჯიუტობდა სასახლის დირექტორი.

...იმ დღეს უკანასკნელი ცნობების ღამის გამოშვებაში მაინც გადაიცა რეპორტაჟი მოჭიდავეთა თბილისის საერთაშორისო ტურნირიდან.

მას შემდეგ ჭიდაობის ფედერაციაში ყოველთვის ჰქონდათ. ჭიდაობაში შეჯიბრების მონაწილის ჩემთვის გადანახული ერთი ბილეთი.

**თამილა კახიძე,**
საქართველოს რადიოს სპორტული პროგრამების რედაქტორი.

## პრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის პრიზისთვის („გუნდთან ერთად“) ბრძოლაში V ტურში სამმა კოლექტივმა — „დნეპრმა“, „ზარიამ“ და „ზენიტმა“ მოაგროვა 100-100 ქულა.

„დნეპრის“ მოთამაშეებმა მასლოვმა და მატვიენკომ „სპარტაკთან“ მატჩის დროს, როგორც ცნობილია, გაფრთხილებები მიიღეს, ამიტომ დნეპროპეტროვსკელებს გამოაკლდათ 20 ქულა, სულ კი 240 ქულა დარჩათ. „ზენიტს“ აქვს 160 ქულა, „ზარიას“ — 150.

5 ტურის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ თბილისელებს — 305 ქულა. გასულ ტურში მათი დაწევა შეეძლოთ ბაქოელებს და ოდესელებს, მაგრამ ბაქოში მატჩზე მოვიდა სულ 11.000 მაყურებელი (55 ქულა), ოდესაში — 12.000 (60 ქულა), თანაც „ჩერნომორეცის“ მოთამაშეს „ზარიასთან“ შეხვედრის დროს ყვითელი ბარათი უჩვენეს (—10). ამჟამად ოდესელებს აქვთ 250 ქულა, ბაქოელებს კი 255. თბილისელების დაწევა შეუძლიათ მეშახტეებს, რომლებმაც თავიანთ მინდორზე მხოლოდ 2 შეხვედრა გამართეს, გათამაშების ლიდერებმა კი — 3.

„ფახთაქორმა“ მოაგროვა 220 ქულა, „არარატმა“ — 175, „ქაირათმა“ — 170, „ტორპედომ“ და „სპარტაკმა“ — 95-95. ბოლო ადგილებზე ცსკა და „ლოკომოტივი“ არიან 35-35 ქულით.

## ფეხბურთი

### მსაჯობის დონის ასამაღლებლად

**საქართველოს** სპორტკომიტეტში ჩატარდა რესპუბლიკის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის თათბირი, სადაც ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ ნ. ჩხატარაშვილმა. მან ილაპარაკა იმ ხარვეზებზე, რომლებიც გააჩნია მსაჯთა კოლეგიის მუშაობას, კერძოდ, ზოგიერთი მსაჯი უპასუხისმგებლობას იჩენს და უმიზეზოდ არ ცხადდება დანიშნულ თამაშებზე. მათს რიცხვში არიან ა. აფრიდონიძე, ზ. თოდაძე, ტ. ნიშნიანიძე, მ. მაღლაფერიძე (ყველა — ქუთაისი), ზ. ვანიშვილი, ზ. ნოზაძე, გ. ტურაშვილი (ყველა — გორი), გ. კაპანაძე (ზესტაფონი), თ. კოკაია (ფოთი), გ. ბაშკოვი (ბათუმი) და სხვები. ამას გარდა, აღინიშნა, რომ მსაჯები შეცდომებს უშვებენ თვით თამაშის მსვლელობისას, რაზეც მათ მკაცრად მიეთითათ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მსაჯების უპრინციპობას დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, ლიბერალობას, რის გამოც შეხვედრები ხშირად მიმდინარეობს წესრიგის დარღვევით, დაბალ სპორტულ დონეზე. მაგალითად, ასე იყო 5 აპრილს ყვარელში აფხილობრივი „დურუჯისა“ და თბილისის ასკ-ს მატჩში. მსაჯობდა ვ. ეჯიბია (თბილისი).

არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა გალში 22 აპრილს, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ გალის „მზიური“ და ფოთის „კოლხეთი“. მატჩს მსაჯობდა ქუთაისელი დ. აბუთიძე, გვერდითმა მსაჯებმა ზ. თოდაძემ და ტ. ნიშნიანიძემ (ორივე — ქუთაისი) მატჩის მიმართ გამოიჩინეს უპასუხისმგებლობა და გალში არ ჩავიდნენ. ეს თამაში არ დამთავრდა და ჩაიშალა, აღნიშნულ ფაქტს იკვლევს სპეციალურად გამოყოფილი კომისია. დამნაშავენი მკაცრად დაისჯებიან.

კამათში გამოვიდნენ ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების უფროსი მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ი. ბოჭორაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ბავშვთა ყველა რანგის შეჯიბრებას უნდა ემსახურებოდნენ გამოცდილი არბიტრები, რომელთა კვალიფიციური მსაჯობა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ პერსპექტიული რეზერვები, მაღალხარისხოვანი ცვლა რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებისთვის.

ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა კ. ყრუაშვილმა ილაპარაკა მსაჯთა მომზადების ხარისხზე. ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჯეჯელავამ აღნიშნა მსაჯების დიდი პასუხისმგებლობა თამაშების მაღალ დონეზე ჩატარების საკითხში.

კამათში გამოსულმა ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ინსტრუქტორმა ი. მჭედლიშვილმა ილაპარაკა მნიშვნელოვან დისციპლინარულ დარღვევებზე.

ნაკლოვანებათა გარდა მომხსენებლებმა აღნიშნეს, დადებითი მხარეებიც, უპირველეს ყოვლისა რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიას დიდი შესაძლებლობა აქვს შეხვედრები ჩაატაროს მაღალ სპორტულ დონეზე, რისი მაგალითის მომცემნი არიან არბიტრები ა. მილჩენკო, გ. გვანცელაძე, ნ. ამირეჯიბი, მ. მიმინოშვილი, უ. ფურცელაძე, გ. გაბისკირია.

მსაჯთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლვოვის „კარპატის“ ფეხბურთელთა კალენდარულ მატჩში, რომელიც ქუთაისში შედგა 3 მაისს, ჩორბას მიერ დარტყმული 11-მეტრიანი საჯარიმო მოიგერია არა გაბელიამ, როგორც შეცდომით ვიუწყებოდით 6 მაისის ნომერში, არამედ მ. კვერნაძემ.

ამავე ნომერში „საქინფორმის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ყიფიანმა შარშანდელ ჩემპიონატში 13 გოლი გაიტანა. სინამდვილეში მან მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანა 14 გოლი.

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# მსოფლიო ჩემპიონი საბჭოეთიდან

იმ ხანად მსოფლიო ჩემპიონები მუდამ ემიჯნებოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის (გერმანიის, რუსეთის) საჭადრაკო ორგანიზაციას. მეტოქეებს თავად ირჩევდნენ, საპრიზო ფონდის რაოდენობასაც თავად განსაზღვრავდნენ. ამიტომ იყო, რომ თავისი დროის უძლიერესი დიდოსტატები ა. რუბინშტეინი და ა. ნიმცოვიჩი ვერ ეღირსნენ შეხვედრას მსოფლიო ჩემპიონთან. მერეც, როცა 1924 წლის ივლისში, პარიზში შეიქმნა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია (ფიდე), ჩემპიონები მასაც არ უწევდნენ ანგარიშს. მ. ეივე იხსენებს, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა მსოფლიო პირველობის გათამაშების ხელმძღვანელობა ფიდე-სთვის გადაეცა, თუ ა. ალიოხინს მატჩ-რევანშს მოუგებდა.

ფიდე-მ შემოიღო მსოფლიოს გუნდური პირველობა, ანუ „ერთა ტურნირები“ და ქალთა მსოფლიო ჩემპიონის სახელის გათამაშება, მაგრამ მას მაინც არ ჰქონდა დიდი ავტორიტეტი ფართო საზოგადოებაში. პირველ ყოვლისა. იმიტომ, რომ არ განაგებდა ვაჟთა მსოფლიო პირველობას, მას არ ემორჩილებოდნენ მსოფლიო ჩემპიონები. სხვათა შორის, შემდგომ რ. ფიშერმაც მოიწადინა ფიდე-ს უგულვებელყოფა, მაგრამ ამაოდ — ამჟამად ფიდე მტკიცე და ძლიერი ორგანიზაციაა.

ა. ალიოხინის დაუმარცხებლად გარდაცვალებამ ფიდე-ს შესაძლებლობა მისცა მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენის საკითხს დაპატრონებოდა. 1947 წლის აგვისტოში, ჰააგაში (ჰოლანდია) ფიდე-მ XVIII კონგრესი მოიწვია, რათა გადაეწყვიტა ახალი მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენის საკითხი.

კონგრესის მუშაობაში პირველად მონაწილეობდა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის დელეგაცია. ფიდე-მ იგი თავის წევრად მიიღო. ამან, რასაკვირველია, ფიდე-ს დიდი ავტორიტეტი შეუქმნა.

ამერიკელებმა შეიტანეს წინადადება, რომ ჩემპიონის გამოსავლენად საკმარისია ეივე — რეშევსკის მატჩის მოწყობა. ჰოლანდიელებს ეს მატჩი ზედმეტად მიაჩნდათ: ჩემპიონის ტიტული პირდაპირ ეივეს ვუბოძოთ, როგორც ერთადერთ ცოცხალ ექს-ჩემპიონსო.

საბჭოთა დელეგაციამ მტკიცედ გაილაშქრა ამ უსაფუძვლო წინადადებათა წინააღმდეგ, მოითხოვა უძლიერესთა შორის მატჩ-ტურნირის ჩატარება. კონგრესმა უარყო აშშ-ის და ჰოლანდიის დელეგაციების პრეტენზიები და სსრ კავშირის წარმომადგენელთა წინადადება მოიწონა.

ფიდე-მ გადაწყვიტა 1948 წლის მარტ-აპრილში მოეწყო მატჩ-ტურნირი (მისი პირველი ნახევარი ჰააგაში, მეორე — მოსკოვში). სათამაშოდ მიიწვიეს მ. ბოტვინიკი, პ. კერესი, ვ. სმისლოვი (ყველა — სსრ კავშირი), მ. ეივე (ჰოლანდია), ს. რეშევსკი, რ. ფაინი (ორივე — აშშ).. იმ დროისთვის ეს მოჭადრაკეები ნამდვილად უძლიერესნი იყვნენ. მათ საუცხოოდ ითამაშეს ომისშემდგომ ტურნირებშიც — ლონდონში (1945 წ.), გრონინგენში (1946 წ.) და სსრ კავშირის 1947 წლის ჩემპიონატში. მხოლოდ ფაინს არ უცდია თავისი ძალა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სსრ კავშირ — აშშ-ის გუნდების მატჩებში მის მონაწილეობას.

ფიდე-მ პრინციპში მიიღო საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოთავაზებული მსოფლიო პირველობის გათამაშების სამწლიანი ციკლი — პრეტენდენტი შერჩევით შეჯიბრებებში უნდა გამოვლინდეს და ჩემპიონი ვალდებულია შეხვდეს მას მატჩში.

ჭადრაკის სამყარო მოწონებით შეხვდა ფიდე-ს კონგრესის შედეგებს. ყველამ გაიზიარა მსოფლიო პირველობის გათამაშების დემოკრატიული პრინციპები.

და აი, 1948 წლის 2 მარტს ჰააგაში დაიწყო ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. ბოლო მომენტში თამაშზე უარი განაცხადა ფაინმა, რომელმაც დროებითაც ვერ დათმო ფსიქოლოგიის პროფესორის კათედრა. სტარტზე მხოლოდ ხუთი მოჭადრაკე გამოვიდა. ისინი ერთმანეთს ხუთ-ხუთჯერ შეხვდნენ.

ჰოლანდიური პრესა წერდა, რომ ჩემპიონის მთავარი პრეტენდენტები არიან ბოტვინიკი და კერესი. მათს ჭიდილში გადაწყდება ჩემპიონის გვირგვინის ბედიცო. პროგნოზი სწორი აღმოჩნდა.

ჰააგაში მოჭადრაკეებმა ორი წრე ითამაშეს. მოსკოვში ბრძოლის გასაგრძელებლად ბოტვინიკი 5,5 ქულით (8-დან) ჩამოვიდა. რეშევსკის 4,5 ქულა ჰქონდა, კერესსა და სმისლოვს — 4-4, ეივეს — 1,5. ორ წრეში ეივემ ოთხი პარტია წააგო. კერესი ორჯერ დამარცხდა ბოტვინიკთან.



მოსკოვში შეჯიბრება 10 აპრილს განახლდა. ბოტვინიკმა განაგრძო ლიდერობა და V წრის დამდეგს (9 მაისს) I ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული გაინაღდა. საბოლოოდ მან 14 ქულა მოაგროვა, სმისლოვმა — 11, კერესმა და რეშევსკიმ — 10,5-10,5, ეივემ — 4. ბოტვინიკმა სძლია ყველა პრეტენდენტს (კერესს ანგარიშით 4:1, სმისლოვს — 3:2, რეშევსკის — 3,5:1,5, ეივეს — 3,5:1,5).

18 მაისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ბოტვინიკი მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით შეამკეს. ეს იყო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის დიდი გამარჯვება. ფიდე-ს პრეზიდენტმა ა. რიუბმა (ჰოლანდია) ახალ ჩემპიონს უთხრა: „სამყარო აღიარებს თქვენს უპირატესობას და უფლებას დაიცვათ ეს ტიტული“.

მიხეილ ბოტვინიკი (17. VIII. 1911) აღზარდა საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციამ. ოსტატის წოდება 1927 წელს მოიპოვა. 1935 წელს მან საბჭოთა მოჭადრაკეთაგან პირველმა მიიღო დიდოსტატის წოდება. ბოტვინიკი იყო სსრ კავშირის 1931, 1933, 1941, 1944, 1945 წლების ჩემპიონი. მას დაუმარცხებია ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ა. ალიოხინი. ამიტომ ჭადრაკის სამყარომ მისი გამარჯვება მატჩ-ტურნირში სავსებით კანონზომიერად ჩათვალა.

მატჩ-ტურნირმა ცხადყო, რომ სმისლოვის სახით დიდმა ჭადრაკმა უაღრესად პერსპექტიული დიდოსტატი შეიძინა.

მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის ისტორიაში დაიწყო ახალი შთამბეჭდავი ეპოქა, რომლის მედროშენი საბჭოთა მოჭადრაკეები გახდნენ.

**თ. გიორგაძე.**

• • •

სურათზე: მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეგბი. ნახევარი გზის შემდეგ

**ახლა**, როცა რეგბიში საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე და რესპუბლიკის თასის პირველი გათამაშება დამთავრდა, შეიძლება შევაჯამოთ ამ ტურნირების შედეგები, ვილაპარაკოთ ჩვენი გუნდების დადებით და ნაკლოვან მხარეებზე.

საქართველოს ლელო-რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის გადაწყვეტილებით, საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კოლექტივები — თბილისის „ლოკომოტივი“ და „ელვა“ პირველობაში არ მონაწილეობდნენ.

ამრიგად, ქიათურაში, სადაც რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები გაიმართა, თბილისის „სპარტაკმა“, სამედიცინო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდებმა, ქუთაისის „სახლმშენმა“, ჩოხატაურის „ლელომ“ და ადგილობრივი სამთამადნო კომბინატის კოლექტივებმა მოიყარეს თავი.

პირველობისთვის ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის „სპარტაკს“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდსა და ქუთაისის „სახლმშენს“ შორის გაჩაღდა. მეორე ტურის წინ ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრებში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს „სპარტაკმა“ და სპი-მ. ეს კოლექტივები ყოველ წელს მოთამაშეებით რეგულარულად ამარაგებს „ლოკომოტივსა“ და „ელვას“.

უფრო მეტს ველოდით „სახლმშენისგან“. ეს ძლიერი და თვითმყოფადი გუნდი, რომელსაც რამდენიმე ტექნიკური რეგბისტი ჰყავს, საკავშირო პირველობის პირველ ლიგაში საქართველოს ღირსებას იცავს. მან შარშან ცუდად როდი ჩაატარა საკავშირო ტურნირი, ამიტომაც ახლა უფრო გააზრებული, კომბინაციური თამაშის იმედი გვქონდა. ქუთაისელებმა ამას წინათ თავიანთ ქალაქში გამართულ საკავშირო ტურნირში უფრო კარგი რეგბი აჩვენეს, რაც იმედს გვაძლევს, რომ „სახლმშენი“ წელს მეტი შემართებით იბრძოლებს უმაღლესი ლიგის საგზურისთვის.

ქებას იმსახურებს „ლელო“. იგი პირველობაში IV ადგილზე იმყოფება, თასის გათამაშებაში კი ნახევარფინალამდე მივიდა. ამ გუნდში კარგად არის შეხამებული ახალგაზრდების მონდომება და ვეტერანების გამოცდილება. რაც მთავარია, ჩოხატაურელები შესანიშნავად იყენებენ ეროვნული თამაშის მდიდარ ტრადიციებს. გასაკვირი არც არის. ლელო და რეგბი ხომ ასე ახლოა ერთმანეთთან და მათი უნარიანი შერწყმა, მხოლოდ წარმატების საწინდარია.

რესპუბლიკის პირველობაში და თასის გათამაშებაში სამედიცინო ინსტიტუტისა და ქიათურის კოლექტივების დებიუტი უიღბლო გამოდგა. მომავალმა ექიმებმა თასის გათამაშებას საერთოდ თავი აარიდეს, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ამ ინსტიტუტსა და ქიათურაში გუნდები არსებობენ, თავისთავად ბევრს ნიშნავს.

როგორც უკვე ცნობილია, რესპუბლიკის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი“ და სპი. გამარჯვება მომავალ ინჟინრებს დარჩათ. მათ პირველებმა მოიპოვეს საქართველოს თასი. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რეგბის სათანადო ყურადღება ეთმობა და კოლექტივიც მხოლოდ ქების ღირსია. მაგრამ გუნდს ჩრდილი მიაყენა ერთმა ფაქტმა: ქიათურაში საქართველოს პირველობის პირველ წრეში „სპარტაკისა“ და სპი-ს შეხვედრისას პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრმა გ. მოდებაძემ ქუთაისელ მსაჯს გ. ცქიტიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც მინდორზე ჩხუბი და რამდენიმე წუთით მატჩის შეწყვეტა გამოიწვია.

მოსალოდნელი იყო, რომ გუნდი იმსჯელებდა მისი წევრის ამ საქციელზე და რესპუბლიკურ ფედერაციას, მის სპორტტექნიკურ კომისიას კრების ანგარიშს წარუდგენდა. ქიათურის სტადიონზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, გუნდის კრების ანგარიში კი არსად ჩანს.

საქართველოს სსრ ლელო-რეგბის ფედერაციამ გ. მოდებაძეს დისკვალიფიკაცია მისცა.

**ს. მელითაური,**
**საქართველოს ლელო-რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე.**



## სტადიონი სახურავქვეშ



მოსკოვში, მშვიდობის პროსპექტზე ჩქარი ტემპით აშენებენ 45000-ადგილიან დახურულ სტადიონს, სადაც ჩატარდება ოლიმპიური შეჯიბრებები კრივსა და კალათბურთში. ახლახან მემონტაჟეებმა დაამთავრეს სტადიონის უნიკალური სახურავის გარე სალტის ბოლო 40-ტონიანი სექციის დადგმა.

სურათებზე: გარე სალტის მონტაჟი; ასეთი იქნება სტადიონი.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მეთვრამეტე ტირაჟისა, რომელიც 3 მაისს მოსკოვში მოეწყო.

**„სპორტლოტო“:** ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება — 1458 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 62, ოთხისთვის — 37, სამისთვის — 3.

**„სპორტლოტო-2“:** ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 121, ოთხისთვის — 96, სამისთვის — 4.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეთვრამეტე ტირაჟი.

**პირველი:** 2 (ბიატლონი), 11 (ტანვარჯიში), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 14 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 23 (წყალში ხტომა).

**მეორე** 3 (ბობსლეი), 8 (საგზაო ტკეცილო ველორბოლა), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 22 (ცურვა).

## დარჩენილია 800000 ბილეთი

**არგენტინის** მსოფლიო ჩემპიონატის გახსნამდე ცოტა დრო დარჩა. დასასრულს უახლოვდება მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ ზოგიერთ გადასაჭრელ პრობლემას შეემატა კიდევ ერთი, მასპინძლებისთვის მეტად დამაფიქრებელი ფაქტი — 1,9 მილიონი ბილეთიდან, რომლებიც ჩემპიონატზე დასასწრებად არის გამოყოფილი, გაუყიდავია 800 000. მასპინძლები იძულებული არიან სასწრაფოდ შეცვალონ ბილეთების გაყიდვის სისტემა.

როგორც ცნობილია, ჩემპიონატისთვის ბილეთები ცალკეულ მატჩებზე არ იყიდება. გულშემატკივრები იძულებული არიან სერიებად შეიძინონ 11 მატჩზე დასასწრები ბილეთები. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ახლანდელ მასპინძლებს რჩევა მისცეს ხელი აეღოთ ბილეთების ასეთი წესით გასაღებაზე. აი, რას ამბობს გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი პასუხისმგებელი წარმომადგენელი ამის თაობაზე: „ბილეთებთან დაკავშირებული ამბავი ჩემთვის მოულოდნელობას არ წარმოადგენს. მე პირადად ვურჩიე ჩემპიონატის ორგანიზატორებს უარი ეთქვათ ბილეთების სერიულ გაყიდვაზე, ვინაიდან მაყურებელს ყველა თამაშზე დასწრება არ აინტერესებს“. არგენტინელებმა კიდევ ერთი შეცდომა მაშინ დაუშვეს, როდესაც მოინდომეს 1974 წლის ჩემპიონატზე გაყიდული ბილეთების რეკორდის მოხსნა. მოგეხსენებათ, რომ მაშინ ჩემპიონატისთვის განსაზღვრული 2.483.000 ბილეთიდან გაიყიდა 1.769.000 ანუ 71,5 პროცენტი. არგენტინაში კი, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, რომლის გახსნაც 1978 წლის 1 ივნისს არის დანიშნული, ჯერ კიდევ ელის მყიდველებს 800 000 ბილეთი.

როგორც ხედავთ, ჩემპიონატის გახსნამდე მასპინძელთა მდგომარეობა ამ სფეროში ერთობ არასახარბიელოა.

გერმანულიდან თარგმნა **მ. რადიანმა.**

## ფიფა-ს გამსინჯავი კომისია

ფიფა-მ შექმნა კომისია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს გასინჯავს და ნიშნებს დაუწერს მსაჯებს. ამ კომისიის თავმჯდომარეა ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უინტერბოტომი, ხოლო მისი მოადგილეები — იუგოსლაველი მილიანიჩი (პირველ ჯგუფში), ჰოლანდიელი მერკელი (მეორე ჯგუფში), გფრ-ის წარმომადგენელი ჰედერნოტი (მესამე ჯგუფი) და ბრაზილიელი ბონეტი (მეოთხეში).



## „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით

როგორც იტალიური სპორტული გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი“ იუწყება, მილანის „ინტერი“ უკვე მოელაპარაკა „ნანსისა“ და საფრანგეთის ნაკრების განთქმულ ფეხბურთელს პლატინის მილანში გადასვლის თაობაზე. ახლა „ინტერი“ და პლატინი უცდიან მხოლოდ იტალიაში უცხოელი ფეხბურთელების გადასვლის აკრძალვის გაუქმებას.

## თავისუფალ დროს

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრაზე 11 წელია მუშაობს ფეხბურთში სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი სანიჩბოსნო სლალომში პეტრე ოქონაშვილი. იგი ამავე ინსტიტუტის აღზრდილია, 1970 წელს დაამთავრა ასპირანტურა. ამჟამად მუშაობს სადისერტაციო თემაზე — „საქართველოს სსრ-ში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“.

დღეს ჩვენ გვინდა გაგაცნოთ არა მისი მუშაობა, არამედ თუ როგორ ატარებს იგი ლექციებიდან და მეცადინეობებიდან თავისუფალ დროს. პეტრე ოქონაშვილის ოთახი (იგი მცხეთაში ცხოვრობს) თავისებური მუზეუმია. საქმე იმაშია, რომ იგი გატაცებულია ხეზე ამოჭრითა და გამოჩარხვით. ქვაზე ჩუქურთმის გაკეთებით. უცნაურად დაბრეცილ, უსწორ-მასწორო კორძიანი ხეებისაგან აკეთებს ადამიანებისა და ცხოველების სხვადასხვა ფიგურებს. მისი ცნობისმოყვარე თვალი, მარჯვე ხელი, მხატვრული გემოვნება ხანდახან ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს ქმნის. მის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი, რა თქმა უნდა, სპორტულ თემატიკას უჭირავს.









## თბილისის სპორტული გაზეთი

**ფეხბურთი** სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა შორის, საქართველოს ზონა. 7 მაისი. „ავაზას“ სტადიონი. „ავაზა“ (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „დინამოს“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი) — „ინტერნატი“ (თბილისი). 12 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი). 14 ს.

**ფეხბურთი**. საქართველოს პირველობა. 9 მაისი. ასკ-ს სტადიონი. „სპარტაკი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი). დასაწყისი 14 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). 15 ს.

**რეგბი**. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. **დღეს**. სსრ კავშირის თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალური მატჩი. „სპარტაკი“ (თბილისი) — „სახლმშენი“ (ქუთაისი). დასაწყისი 14 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02073